საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ქ. თ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.09.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 083/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. გ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 29 სექტემბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა ქ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 23 ოქტომბერს დისტანციური ფორმატით გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში. საჩივრის ავტორს მონაწილეობა არ მიუღია 2023 წლის 28 დეკემბერს დისტანციური ფორმატით გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაში. საჩივრის ავტორმა, ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან, 2023 წლის 28 დეკემბერს სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ მან უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით და თანახმაა, რომ განხილვის კოლეგიის სხდომა გაიმართოს მისი მონაწილეობის გარეშე,

გადაწყვეტილების მიღებისას კი განხილვის კოლეგია დაეყრდნოს მის მიერ საპროცესო ეტაპზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ახსნა-განმარტებებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე ადვოკატმა ა. გ.-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ კოლეგის მიმართ გააჟღერა შემდეგი ფრაზა: *„რა დებილივით იცინით“* რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, საქმეზე, N, 2023 წლის 20 სექტემბერს მიღებული განკარგულებით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ა. გ.-ს 2023 წლის 6 ოქტომბერს გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით და სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსულ საჩივარზე. ადვოკატს არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება, ის ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე და ზეპირად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, საჩივართან დაკავშირებით. მოპასუხე ადვოკატს მონაწილეობა არ მიუღია 2023 წლის 28 დეკემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან სატელეფონო საუბრისას, ადვოკატმა განმარტა, რომ მან საკუთარი პოზიცია უკვე დააფიქსირა საქმის მიმდინარეობის საპროცესო ეტაპზე და თანახმაა, რომ განხილვის კოლეგიამ მისი მონაწილეობის გარეშე ჩაატაროს სხდომა, მიიღოს გადაწყვეტილება და დაეყრდნოს ადვოკატის მიერ წარმოდგენილ ზეპირ ახსნა-განმარტებას საპროცესო ეტაპზე.

2.2 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე, ადვოკატმა ა. გ.-მ განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო პროცესი, სადაც ის და ადვოკატი ქ. თ. წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეების ადვოკატებს, მიმდინარეობდა დაძაბული ფორმატით. ორივე ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვით, საქმისადმი ემოციური დამოკიდებულებით და მათ შორის მიმდინარეობდა პაექრობა. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ა. გ.-მ დაადასტურა კოლეგის მიმართ სადავო ფრაზის - *„რა დებილივით იცინით“* გამოყენება და აღნიშნა, რომ მან იმწამსვე გამოთქვა სინანული გაჟღერებული ფრაზის გამო, აღიარა დაშვებული შეცდომა, ბოდიში მოუხადა კოლეგას და განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული ფრაზა კოლეგის მიმართ არ უნდა გამოეყენებინა. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2023 წლის 20 სექტემბერს (საქმეზე N) მიიღო განკარგულება ადვოკატის დაჯარიმების შესახებ და ადვოკატს დაეკისრა 100 ლარის გადახდა, რაც მას არ გაუსაჩივრებია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე იმსჯელა სასამართლომ და ჩათვალა, რომ მხოლოდ კონკრეტული ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება იყო საკმარისი და სხვა სახის სახდელის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად ადვოკატისთვის გაუგებარია, თუ რატომ მომართა საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას, როდესაც არსებულ საკითხზე უკვე იმსჯელა სასამართლომ. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ქ. თ. არის ქალბატონი და ბოდიშს იხდის მისდამი წარმოთქმული სიტყვების გამო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომიისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დადგენილია, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე, საკუთარ კოლეგას, ადვოკატ ქ. თ.ს მიმართა შემდგომი სახის ფრაზით *„რა დებილივით იცინით“* ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს კოლეგიალობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე - 7 მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი).

II სამოტივაციო ნაწილი

4 საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატმა ა. გ.-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე N გამართულ სასამართლო პროცესზე, საკუთარ კოლეგას, ადვოკატ ქ. თ.ს მიმართა შემდგომი სახის ფრაზით *„რა დებილივით იცინით“.*

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მომჩივანის წერილობითი პოზიცია
2. მხარეთა ახსნა-განმარტებები
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, საქმეზე N2/18681-22, 2023 წლის 20 სექტემბერს მიღებული განკარგულება.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. კერძოდ, ადვოკატმა ა. გ.-მ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და დაადგინა, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე N გამართულ სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადებით, დაარღვია პროფესიული ქცევის შემდგეგი ნორმები:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

6.2 საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 17), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა (მუხლი 10.1) და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით, გარანტირებულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსებისა და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, ადვოკატის პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეგიალობის დაცვის პრინციპი მათ კოლეგის მიმართ განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს, რაც სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ადვოკატს კიდევ უფრო უმცირებს გამოხატვის თავისუფლებით დაცული ძირითადი უფლების გავრცელების სფეროს. ადვოკატის პროფესიაში კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ადვოკატს განსაკუთრებული ვალდებულებები გააჩნია კოლეგების მიმართ. კერძოდ, მაშინ როდესაც, კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს, ერთის მხრივ, ნეგატიური შეზღუდვის თვალსაზრისით ავალდებულებს, არ შელახოს კოლეგის ღირსება თუ კანონიერი ინტერესები, მეორეს მხრივ, პროფესიის კორპორაციული ბუნების გათვალისწინებით, პოზიტიური ვალდებულების ძალით, აკისრებს კოლეგისადმი, ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების დამყარებისა და მისი შენარჩუნების ვალდებულებებს. აღნიშნულ სულისკვეთებას ატარებს ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-12 მუხლი, რომლითაც, „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შენარჩუნებაზე“. (ეთიკის კომისიის 2022 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №092/22).

6.3 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.4 მიუხედავად საერთო კორპორაციული ინტერესისა, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, კარგავს აქტუალურობას და კონფლიქტში მყოფ პირებს სავალდებულო ძალით ვერ სთხოვს ერთმანეთის მიმართ, დადებითი, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროდ კოლეგებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულების მოქმედების შემცირების პროპორციულად, იზრდება

კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ნეგატიური ვალდებულების ფორმა და კონფლიქტში მყოფი ადვოკატებისგან, გამკაცრებულად მოითხოვს, კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, კოლეგიალობის პრინციპი მოითხოვს, ადვოკატებმა შეინარჩუნონ ერთმანეთის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება, პირადი შეურაცხოფისა და დამცირების მიზნის გარეშე. (ეთიკის კომისიის 2023 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №098/22)

6.5 დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, დადგინდა, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ საკუთარი კოლეგას, ადვოკატ ქ. თ.ს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე N გამართულ სასამართლო პროცესზე მიმართა ფრაზით *„რა დებილივით იცინით“*. განხილვის კოლეგიის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ გაკეთებული განცხადება თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

6.6 განხილვის კოლეგია თვლის, რომ მოპასუხე ადვოკატის მიერ, თავისი კოლეგის თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2023 წლის 20 სექტემბერს, დისციპლინურ საქმეზე N გამართულ სასამართლო პროცესზე ფრაზით *„რა დებილივით იცინით“* მიმართვა შეურაცხყოფს კოლეგას და მიემართება მისი პიროვნების დისკრედიტაციისკენ. ადვოკატ ა. გ.-ის მხრიდან, ადვოკატ ქ. თ.-ის, მსგავსი სიტყვებით მოხსენიება, წარმოადგენს კოლეგის მიმართ, მისი სუბიექტური დამოკიდებულების, აზრის, თუმცა შეურაცხმყოფელი ფორმით გამოხატვას. მიმართვას არ აქვს რაიმე „პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს“ (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი), რამდენადაც ადამიანისთვის, კონტექსტიდან ამოვარდნილად, *„რა დებილივით იცინით“* მიმართვა, პირის დამცირებას და მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ისახავს მიზნად.

6.7 ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ა. გ.-ის მიერ ადვოკატ ქ. თ.-ის მიმართ წარმოთქმული სიტყვები არ ჯდება ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, ვინაიდან წარმოთქმული წინადადებების შინაარსი, ფორმა თუ კონტექსტი არის შეურაცხმყოფელი და მართლსაწინააღმდეგო, ამასთან წარმოთქმულმა ფრაზებმა გამოიწვია ადვოკატ ქ. თ.-ის ღირსების შელახვა და ადვოკატის მხრიდან კოლეგა ადვოკატის მიმართ პატივისცემის ვალდებულების დარღვევა. შედეგად კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, კოლეგის მისამართით გაკეთებული განცხადებით, დაარღვია კოლეგიალობის დაცვის ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები, 7, 10.1)

6.8 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი გარემოებაა, როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირისთვის მიყენებული ზიანის ხარისხი, ასევე ადვოკატის ქმედებით, თავად პროფესიისთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა და მათი პრევენცია.

6.9 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-15, 01.04.2015).

6.10 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.11 განხილვის კოლეგია, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ, 2023 წლის 30 ოქტომბრის საპროცესო სხდომაზე აღნიშნა, რომ ის ბოდიშს იხდის ადვოკატ ქ. თ.-ის მიმართ გაკეთებული განცხადების გამო.

6.12 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ, ადვოკატ ა. გ.-ის დამოკიდებულება კოლეგის მიმართ და ბოდიშის მოხდა, მიუთითებს მისი მხრიდან საკუთარი ქმედების გაანალიზებასა და მომავალში მეტი სიფრთხილის გამოჩენის მზადყოფნაზე. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და ადვოკატის პოზიციიდან გამომდინარე, რომლითაც მას არ უნდა კოლეგასთან იყოს დაპირისპირებულ მდგომარეობაში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: მომავალში, კოლეგა ადვოკატის პატივისცემის დაცვა და კოლეგიალობის ვალდებულების განმტკიცება.

6.13 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

6.14 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №083/23 ადვოკატ ა. გ.-ს /სიითი№/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/